ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის სხდომის

ოქმი #2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 15 თებერვალს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი. სხდომას ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე, და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

მიმდინარე სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს პროფესორი ომარ ფურთუხია.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის განხილვა;
2. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს მიმდინარე სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორ თამარ ჭელიძეს. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ თსუ-ში მობილობის პროცესის დასრულებასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა მაგისტრატურისთვის ადრე გამოყოფილი კვოტების გადახედვა და დაკორექტირება. კითხვარი განახლებული კვოტებით წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ, გ. ღვედაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი განახლებული კვოტებით მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** მიმდინარე საკითხებში ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში განხორციელებული საკადრო ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს შემდეგი საკადრო ცვლილებები ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში
დირექტორი - პროფ. იოსებ ჩიკვაიძე,
მოადგილე - ასოც.პროფ. მარინა ტრაპაიძე,
ჰეტეროციკლურ ნართთა ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის განყოფილების მეცნიერ-მკვლევარი - ვასილ ბადალაშვილი,
კონდენსირებული ბისინდოლებისა და სპირონერთების განყოფილების მეცნიერ მკვლევარი - თამარ კვირიკაძე.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი ომარ ფურთუხია

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი